

ძირითადი საქმიანობა

შპს „ბეჭაქურის ვენახები“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2014 წლის 30 ივნისს, მარეგისტრირებული ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, იოსებძის ქ. N72, ბ. N27. კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი არის მზია მუთოშვილი, დირექტორი- ტარიელ მუთოშვილი (08001002776).

ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ვენახის გაშენება და საკუთარი და შესყიდული ყურძნით ღვინისა და ღვინის პროდუქტების წარმოება.

დანართი N1 და დანართი N2-ში მოცემულია 2020 წლის ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლისა და ფულადი სახსრების მოძრაობის არა აუდიტირებული ანგარშგება.

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

	01.01.2020	31.12.2020
ლარი საბანკო ანგარიშებზე	114	26 057
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე		80
ნაღდი ფული სალაროში	98	98
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	98	98
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	212	26 235

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ დამკვეთს მიაწოდა გარკვეული სახის საქონელი/მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან კომპანიას ჯერ არ დაუწყო მისი პროდუქციის რეალიზაცია, საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული არსებითი ღირებულების უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება, შესაბამისად მენეჯმენტი არ ახორციელებს მათ დარეზერვებას პერიოდის ბოლოს. ასევე, პერიოდის ბოლოს არ აქვს დებიტორული დავალიანება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. კომპანიას ასევე სასაქონლო-მატერიალური მარაგის სახით გააჩნია ბიოლოგიური აქტივი, რომელიც აღირიცხება საბაზრო ღირებულებით.

[Signature]



სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბრუნვადი მარაგების უმეტესობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტი- ყურძენი, რომელიც ექვემდებარება გადამუშავებას იმავე საანგარიშო პერიოდში, ხოლო გადამუშავების შედეგად მიღებული სასაქონლო-მატერიალური მარაგი - ღვინო და ღვინის პროდუქტები არ წარმოადგენს მალფუჭებად პრიდუქციას, რის გამოც არ არის იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები. სხვა ტიპის სასაქონლო-მატერიალური მარაგები კომპანიას გააჩნია მცირე რაოდენობით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

	01.01.2020	31.12.2020
ნედლეული და მასალები	69 417	38 229
ღვინოები	363 204	1 290 155
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	41	30 595
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	432 662	1 358 979

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნადებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

კომპანიას ჰქონდა დაუმთავრებელი მშენებლობა, რომელიც მოიცავდა ქარხანასა და მის მიმდებარე შენობებს. აღნიშნული დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიში დახურულია და 2020 წლის საანგარიშო პერიოდის ბოლოს გადატანილია ძირითადი საშუალებების ანგარიშზე.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწას, ხელოვნების ნიმუშებსა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

• კავშირგაბმულობის საშუალებები	5-10
• ოფისის აღჭურვილობა	5-10
• კომპიუტერული ტექნიკა	5-10
• ავეჯი და ინვენტარი	5-10
• სატრანსპორტო საშუალებები	5

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და



ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები მოიცავს ეკონომიკური საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას.

სავაჭრო ვალდებულებები და მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე, მათზე გადახდილი ავანსები, სახელფასო ვალდებულებები და სხვა მიმდინარე გადახადები.

	01.01.2020	31.12.2020
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	93 342	393 974
სულ მიმდინარე ვალდებულებები	93 342	393 974

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. კომპანია სარგებლობს შეღავათიანი აგრო კრედიტით, რომლის ფარგლებშიც ხდება მისი საპროცენტო ხარჯების ნაწილის დაფარვა, აღნიშნული თანხები აღიარდება არასაოპერაციო შემოსავლებად.

	01.01.2020	31.12.2020
გრძელვადიანი სესხები	1 100 000	1 604 342
სულ გრძელვადიანი სესხები	1 100 000	1 340 000



საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდში დივიდენდი გამოცხადებული არ არის.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. პერიოდის შემოსავლები მოიცავს დასაბეგრს და დაუბეგრავი მომსახურებით მიღებულ შემოსავლებს, რომლებზეც ხდება პროპორციული ჩათვლები და წარდგენილია დეკლარაციები შესაბამისი პროპორციის გამოყენებით.

შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს ჩამოწერილ მარაგების თვითღირებულებას და მის გაყიდვაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს,

შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან
გაყიდული მარაგის თვითღირებულება

31.12.2020

28 786

(35 945)

სულ წმინდა შემოსავალი

(7 159)



ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

12/31/2020

ძირითადი მასალების დანახარჯები	1,066
დამხმარე მასალების დანახარჯები	23,188
ტრანსპორტის შენახვის ხარჯი	60
ელ.ენერგიის ხარჯი	40,447
ინტერნეტის ხარჯი	311
სხვა საოპერაციო ხარჯი	1,173
სხვა საწარმოო ხარჯი	787
შხამ-ქიმიკატების ხარჯი	231,339
საკანცელარიო ხარჯი	311
ჰიგიენური საშუალებების ხარჯი	1,356
გაზის მიწოდება	2,085
სხვა საერთო ხარჯი	4,838
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	306,961



დანართი N 1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	1/1/2019	1/1/2020	1/1/2021
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	89,259	212	26,235
დებიტორული დავალიანება	16,754		
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-		608
საქონელი, ნედლეული და მასალები	2,554	432,662	1,358,979
გადახდილი ავანსები	321		
წინასწარ გადახდილი გადასახადები	140,210	537,539	81,063
ჯამურად მიმდინარე აქტივები	249,098	970,412	1,466,884
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	2,614,196	5,929,903	7,451,427
არამატერიალური აქტივები	1,343	1,209	1,075
ჯამურად გრძელვადიან აქტივები	2,615,539	5,931,112	7,452,502
სულ აქტივები	2,864,637	6,901,525	8,919,386
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება		93,342	393,974
გადასახდელი ხელფასები	20,800	25,773	20,878
გრძელვადიანი სესხები	400,000	1,100,000	1,340,000
სულ ვალდებულებები	420,800	1,219,115	1,754,852
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	2,432,578	6,180,773	7,508,230
წინა წლების გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	11,259	11,259	(498,363)
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		(509,622)	154,667
სულ კაპიტალი	2,443,837	5,682,410	7,164,534
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	2864637	6901525	8919386



დანართი N 2

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2019	2020
შემოსავლები რეალიზაციიდან		28,786
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(35,945)
მთლიანი მოგება	0	(7,159)
ცვეთის ხარჯი	(259,598)	(340,850)
სახელფასო ხარჯები	(150,661)	(83,829)
საიჯარო ხარჯი		
საოპერაციო ხარჯები	(262,258)	(306,961)
სულ საოპერაციო ხარჯები	(672,517)	(731,639)
საპროცენტო ხარჯები	(131,277)	(183,068)
არასაოპერაციო შემოსავლები	294,172	1,076,533
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	162,895	893,465
მოგება დაბერგვამდე	(509,622)	154,667
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება	(509,622)	154,667



დანართი 3

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2019	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	(509,622)	154,667
კორექტირება:		
ცვეთის ხარჯი	259,598	340,850
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	(250,024)	495,516
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	17,075	-
ცვლილებები თანამშრომელთა მოთხოვნებში	-	(608)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(430,109)	(926,316)
ცვლილებები გადასახადებში	(397,328)	456,476
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	4,973	(4,896)
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	93,342	300,633
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(962,071)	320,805
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში და არამატერიალურ აქტივებში	(3,575,171)	(1,862,239)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	3,748,195	1,327,458
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	173,024	(534,782)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ცვლილებები სესხებში	700,000	240,000
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	700,000	240,000
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(89,048)	26,023
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	89,259	212
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	212	26,235

დირექტორი

ტარიელ მუთოშვილი



ძირითადი საქმიანობა

შპს „ბექაურის ვენახები“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2014 წლის 30 ივნისს, მარეგისტრირებული ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, იოსებძის ქ. N72, ბ. N27. კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი არის მზია მუთოშვილი, დირექტორი- ტარიელ მუთოშვილი (08001002776).

ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ვენახის გაშენება და საკუთარი და შესყიდული ყურძნით ღვინისა და ღვინის პროდუქტების წარმოება.

დანართი N1 და დანართი N2-ში მოცემულია 2020 წლის ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლისა და ფულადი სახსრების მოძრაობის არა აუდიტირებული ანგარშგება.

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

	01.01.2020	31.12.2020
ლარი საბანკო ანგარიშებზე	114	26 057
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე		80
ნაღდი ფული საღაროში	98	98
ჯამურად ნაღდი ფული საღაროში	98	98
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	212	26 235

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ დამკვეთს მიაწოდა გარკვეული სახის საქონელი/მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან კომპანიას ჯერ არ დაუწყია მისი პროდუქციის რეალიზაცია, საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული არსებითი ღირებულების უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება, შესაბამისად მენეჯმენტი არ ახორციელებს მათ დარეზერვებას პერიოდის ბოლოს. ასევე, პერიოდის ბოლოს არ აქვს დებიტორული დავალიანება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. კომპანიას ასევე სასაქონლო-მატერიალური მარაგის სახით გააჩნია ბიოლოგიური აქტივი, რომელიც აღირიცხება საბაზრო ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბრუნვადი მარაგების უმეტესობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტი- ყურძენი, რომელიც ექვემდებარება გადამუშავებას იმავე საანგარიშო პერიოდში, ხოლო გადამუშავების შედეგად მიღებული სასაქონლო-მატერიალური მარაგი - ღვინო და ღვინის პროდუქტები არ წარმოადგენს მალფუჭებად პრიდუქციას, რის გამოც არ არის იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები. სხვა ტიპის სასაქონლო-მატერიალური მარაგები კომპანიას გააჩნია მცირე რაოდენობით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

	01.01.2020	31.12.2020
ნედლეული და მასალები	69 417	38 229
ღვინოები	363 204	1 290 155
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	41	30 595
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	432 662	1 358 979

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

კომპანიას ჰქონდა დაუმთავრებელი მშენებლობა, რომელიც მოიცავდა ქარხანასა და მის მიმდებარე შენობებს. აღნიშნული დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიში დახურულია და 2020 წლის საანგარიშო პერიოდის ბოლოს გადატანილია ძირითადი საშუალებების ანგარიშზე.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწას, ხელოვნების ნიმუშებსა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

• კავშირგაბმულობის საშუალებები	5-10
• ოფისის აღჭურვილობა	5-10
• კომპიუტერული ტექნიკა	5-10
• ავეჯი და ინვენტარი	5-10
• სატრანსპორტო საშუალებები	5

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები მოიცავს ეკონომიკური საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას.

სავაჭრო ვალდებულებები და მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე, მათზე გადახდილი ავანსები, სახელფასო ვალდებულებები და სხვა მიმდინარე გადახადები.

	01.01.2020	31.12.2020
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	93 342	393 974
სულ მიმდინარე ვალდებულებები	93 342	393 974

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. კომპანია სარგებლობს შეღავათიანი აგრო კრედიტით, რომლის ფარგლებშიც ხდება მისი საპროცენტო ხარჯების ნაწილის დაფარვა, აღნიშნული თანხები აღიარდება არასაოპერაციო შემოსავლებად.

	01.01.2020	31.12.2020
გრძელვადიანი სესხები	1 100 000	1 604 342
სულ გრძელვადიანი სესხები	1 100 000	1 340 000

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდში დივიდენდი გამოცხადებული არ არის.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. პერიოდის შემოსავლები მოიცავს დასაბეგრს და დაუბეგრავი მომსახურებით მიღებულ შემოსავლებს, რომლებზეც ხდება პროპორციული ჩათვლები და წარდგენილია დეკლარაციები შესაბამისი პროპორციის გამოყენებით.

შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შედავათების საფუძველზე.

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს ჩამოწერილ მარაგების თვითღირებულებას და მის გაყიდვაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს,

შემოსავალი რეალიზაციიდან

	31.12.2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	28 786
გაყიდული მარაგის თვითღირებულება	(35 945)
სულ წმინდა შემოსავალი	(7 159)

ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

12/31/2020

ძირითადი მასალების დანახარჯები	1,066
დამხმარე მასალების დანახარჯები	23,188
ტრანსპორტის შენახვის ხარჯი	60
ელ.ენერგიის ხარჯი	40,447
ინტერნეტის ხარჯი	311
სხვა საოპერაციო ხარჯი	1,173
სხვა საწარმოო ხარჯი	787
შხამ-ქიმიკატების ხარჯი	231,339
საკანცელარიო ხარჯი	311
ჰიგიენური საშუალებების ხარჯი	1,356
გაზის მიწოდება	2,085
სხვა საერთო ხარჯი	4,838
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	- 306,961

დანართი N 1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	1/1/2019	1/1/2020	1/1/2021
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	89,259	212	26,235
დებიტორული დავალიანება	16,754		
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-		608
საქონელი, ნედლეული და მასალები	2,554	432,662	1,358,979
გადახდილი ავანსები	321		
წინასწარ გადახდილი გადასახადები	140,210	537,539	81,063
ჯამურად მიმდინარე აქტივები	249,098	970,412	1,466,884
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	2,614,196	5,929,903	7,451,427
არამატერიალური აქტივები	1,343	1,209	1,075
ჯამურად გრძელვადიან აქტივები	2,615,539	5,931,112	7,452,502
სულ აქტივები	2,864,637	6,901,525	8,919,386
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება		93,342	393,974
გადასახდელი ხელფასები	20,800	25,773	20,878
გრძელვადიანი სესხები	400,000	1,100,000	1,340,000
სულ ვალდებულებები	420,800	1,219,115	1,754,852
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	2,432,578	6,180,773	7,508,230
წინა წლების გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	11,259	11,259	(498,363)
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		(509,622)	154,667
სულ კაპიტალი	2,443,837	5,682,410	7,164,534
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	2864637	6901525	8919386

დანართი N 2

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2019	2020
შემოსავლები რეალიზაციიდან		28,786
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(35,945)
მთლიანი მოგება	0	(7,159)
ცვეთის ხარჯი	(259,598)	(340,850)
სახელფასო ხარჯები	(150,661)	(83,829)
საიჯარო ხარჯი		
საოპერაციო ხარჯები	(262,258)	(306,961)
სულ საოპერაციო ხარჯები	(672,517)	(731,639)
საპროცენტო ხარჯები	(131,277)	(183,068)
არასაოპერაციო შემოსავლები	294,172	1,076,533
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	162,895	893,465
მოგება დაბერგვრამდე	(509,622)	154,667
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება	(509,622)	154,667

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2019	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	(509,622)	154,667
კორექტირება:		
ცვეთის ხარჯი	259,598	340,850
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	(250,024)	495,516
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	17,075	-
ცვლილებები თანამშრომელთა მოთხოვნებში	-	(608)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(430,109)	(926,316)
ცვლილებები გადასახადებში	(397,328)	456,476
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	4,973	(4,896)
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	93,342	300,633
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(962,071)	320,805
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში და არამატერიალუ აქტივებში	(3,575,171)	(1,862,239)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	3,748,195	1,327,458
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	173,024	(534,782)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ცვლილებები სესხებში	700,000	240,000
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	700,000	240,000
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(89,048)	26,023
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	89,259	212
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	212	26,235

დირექტორი

ტარიელ მუთოშვილი